

585
1966

პროლეტარიატო ყველა ქვეყნისა. შეერთდით



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური კავშირების

უბილი ს ა ბ ჯ მ ს


უ ბ ე ე ბ ე ბ ი

№ 8 (307)

1966 წლის აგვისტო

საქართველოს სსრ უბილისი საბჭოს გამომცემი

თბილისი



უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 8 (307)

აპრილში

1966 წელი


ზ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

130. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.
131. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აღმინისტრაციული ზედამხედველობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.
132. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აღმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების მე-15 მუხლის დამატების თაობაზე.
133. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „წერილმანი ხელი-გნობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 7 იანვრის ბრძანებულების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე.
134. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის შესახებ თიანეთის, წითელწყაროსა და ხულოს რაიონებში.
135. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკაში კოოპერატიული ბინათმშენებლობის მდგომარეობის შესახებ.
136. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამტრედიის რაიონის დიდი ჭიხაიშის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ.
137. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ განათლების რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ განათლების საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ.
138. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ.
139. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თეთრიწყაროს რაიონის ცენტრის დაბა თეთრიწყაროს რაიონული დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის შესახებ.

10145





158. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშ. ლ. ა. კეჭელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
159. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „აფსნი ყაფშის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ბანყოფილება მისამი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიაში.
საინფორმაციო ცნობა.



საქართველოს
მწერთა კავშირი

ბანუოფილიზა პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ

130 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეთანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. მე-12, 25-ე, 44-ე და 54-ე მუხლებს სიტყვების „228 მუხლის მეორე ნაწილი“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და მესამე ნაწილი“.

2. 39-ე მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„12) დანაშაულის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელიც მთვრალი იყო. სასამართლოს უფლება აქვს, იმის მიხედვით, თუ რა ხასიათისაა დანაშაული, არ ცნოს ეს გარემოება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად“.

3. 209-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 209. მუქარა ან ძალადობა თანამდებობის პირის ან იმ მოქალაქის მიმართ, რომელიც საზოგადოებრივ მოვალეობას ასრულებს

თანამდებობის პირის ან საზოგადოებრივი მუშაკის მიმართ მოკვლას, სხეულის მძიმე დაზიანებისა ან ქონების საყოველთაოდ საშიში საშუალებით განადგურების მუქარა, გამოყენებული მათი სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი საქმიანობის შეწყვეტის ან მისი შეცვლის მიზნით, დამუქრებელის ინტერესების სასარგებლოდ, აგრეთვე ასეთივე მუქარა მოქალაქის მიმართ, რაც დაკავშირებულია მის მიერ დანაშაულის ან ანტისაზოგადოებრივი მოქმედების აცილებასა და აღკვეთაში მონაწილეობასთან, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან საზოგადოებრივი გაკიცხვით.


სხეულის მსუბუქი დაზიანება, ცემა ან სხვა ძალადობა თანამდებობის პირის ან საზოგადოებრივი მუშაკის მიმართ მის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივ მოვალეობის აღსრულებასთან დაკავშირებით, ასევე მოქალაქის მიმართ, რაც დაკავშირებულია მის მიერ დანაშაულის ან ანტისაზოგადოებრივი მოქმედების აცილებასა და აღკვეთაში მონაწილეობასთან, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე“.

4. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 216¹ და 219¹ მუხლები:

„მუხლი 216¹. უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიერ სსრ კავშირის ტერიტორიაზე მიმოსვლის წესების დარღვევა

უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ სსრ კავშირის ტერიტორიაზე მიმოსვლის წესების ბოროტი დარღვევა, ესე იგი საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის, საცხოვრებელი ადგილიდან დროებით წასვლის წესების თვითნებური დარღვევა ან სპეციალური ნებართვის გარეშე იმ პუნქტების მო-



ნახულება, რომლებიც არ არის მითითებული სსრ კავშირში შემოსავლურ გეგმაში, სამეზავრო საბუთებში აღნიშნულ მარშრუტიდან გადახვევა, თუ პირს აღნიშნული წესების დარღვევისათვის უკვე ორჯერ გადახდა ადმინისტრაციული სახდელი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, ან ამავე ვადის გამასწორებელი სამუშაოებით, ან ჯარიმით ორმოცდაათ მანეთამდე“.

„მუხლი 219¹. ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესების ბოროტი დარღვევა

ზედამხედველობისათვის თავის არიდების მიზნით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გაათავისუფლებულ პირებზე მილიციის ორგანოების ადმინისტრაციული ზედამხედველობის დებულებით გათვალისწინებული წესების ბოროტი დარღვევა, თუ იგი ჩადენილია იმ პირის მიერ, რომლის მიმართ ასეთი დარღვევისათვის წლის განმავლობაში ორჯერ იყო გამოყენებული ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე“.

5. 228-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 228. ხულიგნობა

ხულიგნობა, ესე იგი საზოგადოებრივი წესრიგის უხეშად დამრღვევი და საზოგადოებისადმი აშკარა უპატივემლობის გამოხმატეელი განზრახი მოქმედება, ასევე იმ პირის მიერ ჩადენილი წვრილმანი ხულიგნობა, რომლის წინააღმდეგ წლის განმავლობაში გამოიყენეს ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიება წვრილმანი ხულიგნობისათვის, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ვადით ან ამავე ვადით გამასწორებელი სამუშაოებით, ან ჯარიმით ოცდაათიდან ორმოცდაათ მანეთამდე.

ბოროტი ხულიგნობა, ესე იგი, იგივე მოქმედება, რომელიც თავისი შინაარსით გამოირჩევა უაღრესად დიდი ცინიზმით ან განსაკუთრებული თავხედობით, ან დაკავშირებულია წინააღმდეგობის გაწევასთან ხელისუფლების წარმომადგენლისათვის ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლისათვის, რომელიც ასრულებს მოვალეობას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დარგში, ან ხულიგნური მოქმედების აღმკვეთი სხვა მოქალაქეებისათვის, ასევე ისეთი პირის მიერ ჩადენილი ბოროტი ხულიგნობა, რომელიც წინაღ ნასამართლევი იყო ხულიგნობისათვის, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით ერთი წლიდან ხუთ წლამდე.

ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილებით გათვალისწინებული მოქმედება, თუ იგი ჩადენილია ისე, რომ იხმარეს ან სცადეს ეხმარათ ცეცხლსასროლი ია-

რალი, დანა, კასტეტი ან სხვა ცივი იარაღი, ასევე სხეულის დასაზიანებლად სპეციალურად მომარჯვებული სხვა საგანი, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით სამიდან შვიდ წლამდე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1966 წლის 29 აგვისტო.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

131 ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესების დარღვევისა- თვის პასუხისმგებლობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესების დარღვევა იმ პირთა მიერ, რომლებზეც დაწესებულია ზედამხედველობა, გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ჯარიმის სახით — ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე.

2. მასალებს ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესების დარღვევის შესახებ ერთპიროვნულად განიხილავს სახალხო მოსამართლე და განხილვაზე გამოიძახებს წესების დამრღვევს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში — მოწვევსაც.

დაჯარიმების შესახებ სახალხო მოსამართლის მიერ მიღებული დადგენილება საბოლოოა და მისი გასაჩივრება არ შეიძლება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.


საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი. 1966 წლის 29 აგვისტო.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

132 „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების უფლები შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების მე-15 მუხლის დამატების თაობაზე

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 23 ივლისის ბრძანებულებისა „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენე-



ბის შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულების მე-13 მუხლისათვის დაქვეყნების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს ცვლილებანი „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების მე-15 მუხლის პირველ ნაწილში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1962 წ. № 11, მუხ. 159; № 34, მუხ. 541), რომელსაც სიტყვების: „სასაზღვრო რეჟიმის წესების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „სსრ კავშირის ტერიტორიაზე უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიერ ცხოვრების, გაწერისა და მიმოსვლის წესების“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი. 1966 წლის 29 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

133 „წვრილმანი ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 7 იანვრის ბრძანებულების ძალადაპარგულად ცნობის თაობაზე

„ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს: ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 7 იანვრის ბრძანებულება „წვრილმანი ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ იმ ცვლილებებითა და დამატებებით, რაც შეტანილია 1961 წლის 18 აგვისტოს და 1964 წლის 26 დეკემბრის ბრძანებულებებით (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წ. № 6, მუხ. 10; 1961 წ. № 24, მუხ. 385; 1964 წ. № 36, მუხ. 696).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი. 1966 წლის 29 აგვისტო.

დადგინდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
 მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის შესახებ
 134 სახეზ თიანეთის, წითელწყაროსა და ხულოს რაიონებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ პ. გ. გელახიანის მოხსენება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის შესახებ თიანეთის, წითელწყაროსა და ხულოს რაიონებში, აღნიშნავს, რომ შემოწმებული რაიონების მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება უკანასკნელ პერიოდში გაუმჯობესდა, ამალდა ექიმთა კვალიფიკაცია და მომსახურების ხარისხი.

ამასთან ერთად, თიანეთის, წითელწყაროსა და ხულოს რაიონების მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ამ რაიონების სამედიცინო დაეწესებულებები მთლიანად არ არის დაკომპლექტებული ექიმებით, რაც ხელს უშლის მოსახლეობის ნორმალურ სამედიცინო მომსახურებას.

მაგალითად, ხულოს რაიონში ნაცვლად 42 ექიმისა მუშაობს 17 ექიმი. წლების მანძილზე დაუკომპლექტებელია ხულოს რაიონის სოფელ რიყეთის, აგარის, დიდაჭარის და ოქტომბერის ექიმთა საშუალო ერთეულები.

წითელწყაროს რაიონში 14,5 საშუალო ერთეული ვაკანტურია, ხოლო 13,5 ერთეული შეთავსებითაა დაკავებული. თიანეთის რაიონში არ ყავთ ვინეკოლოგი, ნევროპათოლოგი, პათანატომი, ოფტალმოლოგი და სხვა.

სათანადოდ არ არის ორგანიზებული ექიმთა და საშუალო სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების საქმე. ექიმთა კადრების სიმცირის გამო, ექიმები წლების მანძილზე არ იგზავნიან კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ზოგიერთი სამკურნალო დაწესებულება მოთავსებულია კეთილმოწყობულ შენობაში, რომელიც გააღუდებელ კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს.

რაიონული და საუბნო საავადმყოფოები არ არიან უზრუნველყოფილი ყველა საჭირო სამკურნალო-დიაგნოსტიკური მოწყობილობით, სამედიცინო აპარატურით და მედიკამენტებით, მაგარი და რბილი ინვენტარით.

სათანადოდ სიმაღლეზე არ დგას ავადმყოფთა დისპანსერიზაციის საქმე ხულოს რაიონში. სუსტად მუშაობს ხულოს რაიონის სანეპიდსადგური, ნაკლოვანებებია მოსახლეობის სანგანათლების დარგში.

გადატვირთულია წითელწყაროს რაიონული საავადმყოფო, რის გამოც 1966 წლის 5 თვის მანძილზე 200 ავადმყოფს უარი ეთქვა ჰოსპიტალიზაციაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

1. დაევალოს თიანეთის, წითელწყაროსა და ხულოს რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს მიიღონ საჭირო ზომები მოსახლეო-



ბის სამედიცინო მომსახურების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოჩენასა და აღმოფხვრის მიზნით, რისთვისაც:

ა) პერიოდულად შეისწავლონ და განიხილონ სამედიცინო დაწესებულება-თა მუშაობა, ამ საქმეში ფართოდ ჩააბან სამედიცინო დარგის მუშაკები, საბჭო-ების მუდმივი კომისიები, დეპუტატები და მოსახლეობის ფართო აქტივი;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამედიცინო დაწესებულება-თა შენობების მოვლა-პატრონობას, დაწესებულ ვადებში ჩაატარონ მათი კა-პიტალური და მიმდინარე რემონტი. მიიღონ ზომები ამ დაწესებულებათა მა-გარი და რბილი ინვენტარით უზრუნველყოფისათვის;

გ) სათანადო ყურადღება მიაქციონ რაიონული და სოფლის საავადმყოფო-ების კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის საქმეს და არ დაუშვან ამ მიზ-ნით გამოყოფილი თანხების აუთვისებლობა;

დ) მიიღონ ზომები სოფლად მომუშავე სამედიცინო დარგის მუშაკებისა-თვის საჭირო საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს:

ა) მიიღოს გადაწყვეტილება ზომები თიანეთის, წითელწყაროსა და ხულოს რა-იონების სამკურნალო დაწესებულებათა დასაკომპლექტებლად საექიმო კადრე-ბით;

ბ) უზრუნველყოს სამკურნალო დაწესებულებები სამკურნალო-დიაგნო-სტიკური მოწყობილობით და მედინსტრუმენტებით, დასახოს სათანადო ლო-ნისძიებანი დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა დროულად გატარებისათვის;

გ) სათანადო კონტროლი დააწესოს სამედიცინო დოკუმენტაციის აღრიც-ხვისა და ანგარიშგების ხარისხზე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს (ამხ. ლ. ა. საყვარელიძე), თიანეთის, წითელწყაროსა და ხულოს რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, რომ 1966 წლის 1 დეკემ-ბრისათვის მოახსენონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანახია.

თბილისი. 1966 წლის 29 აგვისტო.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

135 რესპუბლიკაში კოოპერატიული ბინათმშენებლობის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო მშენებლობის, კომუნალური მე-

ურნეობის და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის წევრის დეპუტატის მადონა რიშვილის მოხსენება საქართველოს სს რესპუბლიკაში კოოპერატიული ბინათმშენებლობის მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ ჩვენმა რესპუბლიკამ უკანასკნელ წლებში, მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში.

რესპუბლიკაში, დღეისათვის, კოოპერატიულ მშენებლობის ხაზით აღრიცხულია 27.000 მოქალაქე; მათგან, მარტო თბილისში, ბინით უკვე დაკმაყოფილებულია 8.832 ოჯახი. მიმდინარე წელს რესპუბლიკაში გათვალისწინებულია აშენდეს 139 სახლი 150 ათასი კვ. მეტრი ფართობით.

ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მსხვილ წარმოება-დაწესებულებებთან საბინაო სამშენებლო კოოპერატივების შექმნას.

დღეისათვის შექმნილია 121 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი, სადაც გაერთიანებულია 7.994 ოჯახი.

ამასთან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში აღნიშნავს, რომ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ჭიათურის, სოხუმის, ბათუმის, ბორჯომის, ცხინვალის საქალაქო საბჭოებს და მათი კოოპერატიული ბინათმშენებლობის ზედამხედველობის განყოფილებებსა და კაპიტალური მშენებლობის სამმართველოებს ჯერ კიდევ გააჩნიათ გარკვეული ნაკლოვანებანი კოოპერატიული ბინათმშენებლობის შემდგომი განვითარების საქმეში.


მიმდინარე წელს 7 თვის განმავლობაში საექსპლუატაციოდ გადაეცა 44.423 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაც წლიური გეგმის 30 პროცენტს შეადგენს. არადმაკმაყოფილებლად სრულდება კაპიტალურ დაბანდებათა ათვისება. მიმდინარე წელს ასათვისებლად გათვალისწინებული იყო 20.000 მანეთი, ფაქტიურად კი ათვისებულია 7.854 მანეთი ანუ წლიური გეგმის 39 პროცენტი.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სოხუმში, ბათუმში, გორში, ბორჯომში, ცხინვალსა და რუსთავში კოოპერატიული ბინათმშენებლობის არც ერთი სახლი არ გადაეცემულა საექსპლუატაციოდ.

ქალაქ თბილისში ხშირია შემთხვევები, როდესაც ირღვევა კოოპერატიული ბინათმშენებლობის რიგი. მაგალითად, 1160 განცხადება-შუამდგომლობა, რომელიც გაცემულია რაიადმასკომების მიერ ჯერ კიდევ 1963 წელს, დაუკმაყოფილებელია, მაშინ როცა 1.128 განცხადება-შუამდგომლობა, შემოსული 1965 წელს, და 39 განცხადება, შემოსული 1966 წელს, უკვე დაკმაყოფილებულია.

გეგმით გათვალისწინებული იყო, რომ ქ. თბილისში 1966 წლის 1 ივნისისათვის საექსპლუატაციოდ გადაეცათ 40.234 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ფაქტიურად კი აშენდა და საექსპლუატაციოდ ჩაბარდა 38.214 კვ. მეტრი, ანუ გეგმის 94,9 პროცენტი, ხოლო კაპიტალური დაბანდების გეგმა შესრულებულია 86 პროცენტით. საცხოვრებელი სახლების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმა, წლიური ჩაბარების გეგმასთან შედარებით, 32,9 პროცენტს შეადგენს.

ნაკლოვანებები იგრძნობა რეკონსტრუქციის ზონაში არსებული ამხანაგური კოოპერატიული ბინათმშენებლობის ხაზით. მაგალითად, დღეისათვის ქ.



თბილისში გათვალისწინებული იყო 12 სახლის მშენებლობა, ფაქტიურად ჯერ არცერთი დაწყებულაც არ არის.

ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები, როდესაც საექსპლოატაციოდ უხარისხოდ აშენებულ კოოპერატიულ სახელებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ჭიათურის, სოხუმის, ბათუმის, ბორჯომის და ცხინვალის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კოოპერატიული ბინათმშენებლობის შემდგომი განვითარების საქმეს, რისთვისაც:

ა) არ დაუშვან გეგმით გამოყოფილი თანხის აუთვისებლობა და მიაღწიონ იმას, რომ საექსპლოატაციოდ გადაეცეს 1966 წლის გეგმით გათვალისწინებულ იყველა საცხოვრებელი სახლი;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ და ყოველმხრივ გააფართოვონ მსხვილ წარმოება-დაწესებულებებთან საბინაო სამშენებლო კოოპერატივების შექმნა;

გ) მიიღონ ყველა ზომები, რათა არ დაუშვან კოოპერატივის წევრთა რიგის დარღვევა, საექსპლოატაციოდ ისეთი სახლების მიღება, რომლებიც დაუმთავრებელია ან აშენებულია უხარისხოდ.

2. იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქ თბილისში გაიზარდა კოოპერატიულ ბინათმშენებელთა კონტიგენტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს კოოპერატიული ბინათმშენებლობისათვის სპეციალიზებული სამშენებლო ტრესტის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კახაძეძე.

თბილისი. 1966 წლის 29 აგვისტო.

დადგინილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

136 სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. დ. ლეჟავას ანგარიში სასოფლო საბჭოს მუშაობის შესახებ, აღნიშნავს, რომ სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომს გარკვეული მუშაობა აქვს ჩატარებული იმ ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც გამოიმდინარეობენ პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან. დიდი ჯიხაიშის სასოფლო საბჭოში შემავალმა კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს

ხორცის, რძის, ჩაის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების და შესყიდვის გასული წლის გეგმები სრულებულია აგრეთვე ფულადი სახსრების შემოსავლის გეგმები.

სესიებს და აღმასკომის სხდომებს იწვევენ კონსტიტუციით დადგენილ ვადებში. აღმასრულებელი კომიტეტი პერიოდულად ანგარიშს აბარებს სესიას, ხოლო დეპუტატები — ამომრჩევლებს.

სასოფლო საბჭოს აღმასკომი თავის მუშაობას წარმართავს წინასწარ შედგენილი სამუშაო გეგმის მიხედვით, რომლის შესრულებაში აქტიურად მონაწილეობენ დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი.

საანგარიშო პერიოდში, მუდმივ კომისიებს სესიასა და აღმასკომის სხდომებზე განსახილველად მომზადებული აქვთ 57 საკითხი. დეპუტატების შ. ვაშაიძის, პ. მიქაძის, რ. რაზმაძის და სხვათა თაოსნობითა და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით რუსთაველის უბანში მოხრეშოდ იქნა 2 კილომეტრი შიდა გზა, შეკეთდა ხიდ-ბოგიერები. ჩატარდა დასუფთავების კვირეული, ცენტრალურ ქუჩებში გაყვანილ იქნა განათება და სხვა.

სასოფლო საბჭოს დიდ დახმარებას უწევს დეპუტატის ოთახი. შემოღებულია წინადადებების აღრიცხვის ჟურნალი. ყოველთვიურად გამოდის კედლის გაზეთი, დაწესებულია „დეპუტატის დღე“, აქტიურად მუშაობენ დეპუტატთა ჯგუფები.

ამავე დროს, დიდი ჯიხაიშის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს მუშაობაში არსებობს ნაკლოვანებებიც. ზოგჯერ მოუმზადებლად ტარდება სესიისა და აღმასკომის სხდომები, საკითხის განხილვისას სათანადოდ არ არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა, სესიისა და აღმასკომის მიერ მიღებული ზოგიერთი გადაწყვეტილება არაკონკრეტულია.

არადამაკმაყოფილებლადაა მოგვარებული გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების საქმე, რის შედეგადაც ზოგი მათგანი შეუსრულებელია.

სუსტად მუშაობენ საგზაო მშენებლობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიები. საგზაო სამუშაოების 1965 წლის გეგმა შესრულებულია 71 პროცენტით, ხოლო 1966 წლის 6 თვის გეგმა — 31,1 პროცენტით.

კოლმეურნეობებში ადგილი აქვს მიწათსარგებლობის წესებისა და დემოკრატიული პრინციპების დარღვევას, კოლმეურნეობათა გამგეობები იხილავენ ისეთ საკითხებს, რომელთა განხილვა და გადაწყვეტა ექვემდებარება კოლმეურნეობის საერთო კრებას.

მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეთა გარკვეული ნაწილი არ მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში, სასოფლო საბჭოს აღმასკომს და სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიას საანგარიშო პერიოდში არ შეუსწავლიათ კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის საკითხი და არ განუხორციელებიათ საჭირო ღონისძიებანი. სათანადო კონტროლი არაა დაწესებული იმაზე თუ როგორ სრულდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულება „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ნათესა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“.

1965 წლის ბიუჯეტი შესრულებულია 85,6 პროცენტით. პირველი ივლისის მდგომარეობით აუთვისებელია თვითდაბეგერის თანხა 3.273 მანეთის რაოდენობით.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში დაბალია წარმოების და მომსახურების კულტურა, უმრავლესობა მოთაჟსებულია შეუფერებელ ბინებში, სახელოსნოებს არ გააჩნია საჭირო რაოდენობით ხელსაწყო-იარაღები. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების 1965 წლის გეგმა შესრულებულ იქნა 98,8 პროცენტით.

ნაკლოვანებებია აგრეთვე მოსახლეობის კინო-მომსახურების საქმეში, არადაამაკმაყოფილებლად მუშაობენ სასოფლო კლუბებთან არსებული მხატვრული თვითმოქმედების წრეები.

საცალო ვაჭრობის 1965 წლის გეგმა შესრულებულია 85 პროცენტით, ხოლო საზოგადოებრივი კვებისა — 90 პროცენტით. მიმდინარე წლის 6 თვის საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია 92 პროცენტით.

მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის ჩადენა შემცირდა, კვლავ ადგილი აქვს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების, ხულიგნობის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის და სხვა შემთხვევებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ამხ. დ. ლეჟავა):


ა) გააუმჯობესოს სასოფლო საბჭოს მუშაობა ისე, რომ იგი წარმატებით წყვეტდეს მოსახლეობის წინაშე მდგარი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა ამოცანას სასოფლო სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების და მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში;

ბ) უზრუნველყოს სესიებისა და აღმასკომის სხდომების მაღალ დონეზე ჩატარება. საკითხების მომზადებაში ფართოდ ჩააბას მუდმივი კომისიები, დეპუტატები და საბჭოს აქტივი. მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილებანი და სისტემატური კონტროლი დააწესოს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე;

შემოიღოს პრაქტიკაში ინფორმაციების მოსმენა წინა სესიის გადაწყვეტილებათა შესრულების, დეპუტატების მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგებზე;

გ) ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს სასოფლო საბჭოს დეპუტატებს მუშაობაში, ფართოდ გააცნოს მათ უფლება-მოვალეობანი, სათანადო ყურადღება მიაქციოს დეპუტატების მიერ ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშების პერიოდულად ჩაბარების საქმეს, აღრიცხოს ამომრჩეველთა მიერ წამოყენებული წინადადებანი და დასახოს საჭირო ღონისძიებანი მათ განსახორციელებლად;

დ) გააუმჯობესოს მუდმივი კომისიების მუშაობა. მიაღწიოს იმას, რომ მუდმივი კომისიები თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობდნენ სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულებას, მშრომელთა მატერიალურ-კულტურული ღონის



ამაღლებას; სახელმწიფოებრივი წესრიგის განმტკიცებას;

ე) გააძლიეროს დახმარება საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული ურნოებზე: სადმი, მიიღოს ზომები შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, უზრუნველყოს ყველა შრომისუნარიან კოლმეურნეთა ჩაბმა საკოლმეურნეო საქმიანობაში, არ დაუშვას საკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დარღვევა;

ვ) მტკიცე კონტროლი დააწესოს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განხორციელებაზე, განსაკუთრებული ყურადღება მიექციოს მიწათსარგებლობის წესების მტკიცე დაცვას და გაატაროს კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ;

ზ) სათანადო ზომები მიიღოს სკოლების მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად, სკოლის ასაკის ყველა ბავშვის სწავლებაში ჩასაბმელად, საშუალო სკოლადამთავრებულთა სამუშაოზე მოსაწყობად;

თ) ფართოდ გაშალოს მუშაობა მოსახლეობაში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების მიზნით. სიმთვრალის, ხულიგნობისა და სხვა დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ფართოდ ჩააბას მშრომელთა კოლექტივები და დეპუტატები;

ი) გააუმჯობესოს კლუბების, ბიბლიოთეკებისა და თვითმომედი წრეების მუშაობა, სისტემატურად მოაწყოს ლექციები, საუბრები და კინოსურათების ჩვენება;


კ) გააძლიეროს კონტროლი და ხელმძღვანელობა ვაჭრობის წესების მტკიცედ დაცვისათვის. პერიოდულად განიხილოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურების საკითხები. პრაქტიკაში შემოიღოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურების პასუხისმგებელ მუშაკთა ანგარიშგება მოსახლეობის საერთო კრებებზე, სოფლის ყრილობებზე;

ლ) გადაჭრით გააუმჯობესოს მუშაობა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით სრული სანიტარული წესრიგი დაამყაროს ქუჩებსა და სხვა ადგილებში. თვითდაბეგვრის თანხების გამოყენებით წესრიგში იქნეს მოყვანილი სოფლის გზები, ბოგირები და გადასასვლელები.

2. დაევალოს სამტრედიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს (თავმჯდომარე ამხ. ა. მანჯგალაძე) სისტემატური დახმარება გაუწიოს დიდი ჭიხაიშის სასოფლო საბჭოს აღმასკომს არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებასა და სკკპ XXIII ყრილობის დადგენილებათა შესაბამისად მუშაობის გარდაქმნაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაბაძე.



ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

137 საქართველოს სსრ განათლების რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ განათლების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს: გარდაიქმნას საქართველოს სსრ განათლების რესპუბლიკური სამინისტრო საქართველოს სსრ განათლების საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭავაძე.

თბილისი. 1966 წლის 29 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

138 საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს: გარდაიქმნას საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რესპუბლიკური სამინისტრო საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭავაძე.

თბილისი. 1966 წლის 29 აგვისტო.


ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

139 თეთრიწყაროს რაიონის ცენტრის დაბა თეთრიწყაროს რაიონული დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს: გარდაიქმნას თეთრიწყაროს რაიონის ცენტრი დაბა თეთრიწყარო რაიონული დაქვემდებარების ქალაქად, ხოლო თეთრიწყაროს სადაბო საბჭო — თეთრიწყაროს საქალაქო საბჭოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭავაძე.

თბილისი. 1966 წლის 29 აგვისტო.



ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ
 საუზრის რაიონის მკვირვართის და თავგებითი სასოფლო-სამეურნეო
 140 აზრი ზოგირითი აღმინისტრაციულ-ტერიტორიულ ცვლილება-
 თა შესახებ

10145

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გამოეყოს ქვიშხეთის სასოფლო საბჭოს სოფელი ცხრამუხა და დაქვემდებაროს თავვეთის სასოფლო საბჭოს.

გადატანილი იქნეს თავვეთის სასოფლო საბჭოს ცენტრი სოფელ თავვეთიდან სოფელ ცხრამუხაში და თავვეთის სასოფლო საბჭოს, მისი ცენტრის შესაბამისად, ეწოდოს ცხრამუხის სასოფლო საბჭო.

გაუქმდეს ცხრამუხის სასოფლო საბჭოს სოფელი ჯვართმუხა მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანახია.

თბილისი. 1966 წლის 29 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
 141 ყაზგაგის რაიონის ცენტრის სოფელ ყაზგაგის დაბად გარდა-
 მინისა და სოფელ გერგეტის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გარდაიქმნას ყაზბეგის რაიონის ცენტრი სოფელი ყაზბეგი დაბად, ხოლო ყაზბეგის სასოფლო საბჭო — ყაზბეგის სადაბო საბჭოდ.

გაუქმდეს სოფელი გერგეტი დაბა ყაზბეგთან ტერიტორიულად შეზღუდვის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანახია.

თბილისი. 1966 წლის 29 აგვისტო.





ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

142 ცაგერის რაიონის ორბელის სასოფლო საბჭოს ცენტრალური მუშათა დასახლების გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს ცაგერის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება ორბელის სასოფლო საბჭოს ლაჯანურჰესის ცენტრალური მუშათა დასახლების გაუქმების შესახებ ლაჯანურჰესის მშენებლობის დამთავრებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი. 1966 წლის 29 აგვისტო.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

143 ხობის რაიონის შუა ქვალონის და განთიადის სასოფლო საბჭოების სახელწოდების შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს ხობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება შუა ქვალონის და განთიადის სასოფლო საბჭოებისათვის სახელწოდების შეცვლის შესახებ და ამიერიდან, სასოფლო ცენტრების სახელწოდებათა შესაბამისად, მათ ეწოდოს:

შუა ქვალონის სასოფლო საბჭოს — ალიონის სასოფლო საბჭო, ხოლო განთიადის სასოფლო საბჭოს — ახალსოფლის სასოფლო საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი. 1966 წლის 29 აგვისტო.

ბანკოფილიზა მიორა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

144 მივლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მდელით „ხანძარზე მამაცობისათვის“:

1. გრიგოლ მელქისედეგის ძე ბუხრაშვილი — ქ. ქიათურის № 1 ავტო-სატრანსპორტო კანტორის მძღოლი.
2. ვენედიქტე ივანეს ძე ქიმაძე — ქ. ქიათურის უფროსი სახანძრო ინსპექტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაბაძე.


თბილისი, 1966 წლის 29 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

145 საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რკინიგზელის დღესთან დაკავშირებით, ხანგრძლივი და ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება:

1. ედუარდ არტაშესის ძე აგარონოვს — ამიერკავკასიის რკინიგზის სალიანდაგო სამსახურის განყოფილების უფროსს.
2. სუსანა ასატურის ასულ ავაქოვას — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საავაგონო დეპოს უფროს ინჟინერს.
3. რუბენ ვართანის ძე ამირბეგოვს — ამიერკავკასიის რკინიგზის სატვირთო სამსახურის უფროს რევეზორს.
4. გიორგი არტემის ძე ანდრიახოვს — ამიერკავკასიის რკინიგზის შენობა-ნაგებობათა სამსახურის განყოფილების უფროსს.
5. ალექსანდრე მნაცავანის ძე არაქელოვს — ამიერკავკასიის რკინიგზის საპროექტო კანტორის უფროს ინჟინერს.
6. ბორის ბოგდანის ძე ბაღდასაროვს — ამიერკავკასიის რკინიგზის მოძრაობის სამსახურის განყოფილების უფროს ინჟინერს.
7. ონიკ ერვანდის ძე ბოიაჯიანს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სალოკომოტივო დეპოს ინჟინერს.



8. ნადეჟდა ალექსანდრეს ასულ ბრიტნევას — ამიერკავკასიის სატრანსპორტო სამშენებლო ტრესტის მთავარ ენერგეტიკოსს.

9. ნიკოლოზ ათანასეს ძე ბუკრეევს — საპროექტო ინსტიტუტის „კავკაზპროტრანსის“ განყოფილების უფროსს.

10. ოთარ ვარლამის ძე ბურჯანაძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის ენერგომომარაგების უბნის უფროსს.

11. ქრისტეფორე ილიას ძე ბუჭიაშვილს — პენსიონერს.

12. გიორგი ქსენოფონდეს ძე გაჩიჩიაძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ინსპექტორს.

13. ალექსანდრე არტემის ძე გელაშვილს — ამიერკავკასიის რკინიგზის სოხუმის სალიანდაგო დისტანციის უფროსს.

14. ყარამან ტიმოთეს ძე გელაშვილს — პენსიონერს.

15. გიორგი დავითის ძე გველესიანს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების უფროსი დისპეტჩერის მოადგილეს.

16. თევდორე სარდიონის ძე გვიშიანს — ამიერკავკასიის რკინიგზის სალიანდაგო სამსახურის განყოფილების უფროსს.

17. ბენედიქტ სევის ძე გოგიჩაიშვილს — ამიერკავკასიის რკინიგზის სალიანდაგო სამსახურის უფროსის მოადგილეს.

18. ალექსანდრე მიხეილის ძე გრომოვს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სავაგონო დეპოს ტექნიკური გასინჯვის პუნქტის უფროსს.

19. იოსებ იოსების ძე ელერდოვს — ამიერკავკასიის რკინიგზის მოძრაობის სამსახურის განყოფილების უფროსს.

